მიხედვა და მოფრთხილება უნდა

მახსოვს ჩემს ბოვშობაში იმხელა თოვლი მევიდოდა ხოლმე სოფლის სახლის პირველი სართული სულ იფარებოდა. ბაბუაჩემი დილაადრიანად გამევიდოდა და გვირაბი გაჰყავდა ჭიშკრამდე, ვინცხა რომ მევიდეს სირცხვილიაო. მერე ბოსლისკენ გაიკვალავდა გზას და ძროხებს გამხმარ ბალახს დოუყრიდა. ქათმებს სიმინდიან ჯამს დოუდგამდა და კვერცხებს მობოჭავდა.

რამდენჯერ მამაჩემთან ერთად თოვლის გვირაბები გამიყვანია და დამალობანა მითამაშია. არაერთხელ დავმარხულვარ თოვლში, ჩამონგრეულა თაღები და შითე მოვყოლივარ.

ე მაშვინ იყო ნამდვილი ბოვშობა და თოვლიც მაშვინ იყო.

მას მერე სადღაა, თოვლიც აღარ მოსულა. წლები ისე გეივლის ზამთარი გაზაფხულია, გაზაფხული - ზამთარი, ზაფხული ჯერე არ დადგება ისე ცივა, თუ დადგა მერე ისთე ცხელა სულის ხუთვაა. შემოდგომა მოვა ვითომ და ისევ ზაფხულივით სითბოა, ან ისევლე გაზაფხულია, მოტყუვდება ბუნება, გამოვა ყვავილი და ერთბაშად დააჭერს ზამთრის სიცივე. აცივდება და იდგება ასე კაი ხანს. არც თოვლი მოვა, არც გამოიდარებს, ხან ისეთი გრიგალი და თავსხმა წვიმაა ანგრევს ყოლიფერს.

გადაირია ბუნება.

ბუნება კი არა ყველაფერი გადაირია, კაცი კაცს აღარ ჰგავს და ერთმანეთის შემხედვარეს კიდო კარგად აქვენ საქმე.

განა მარტო ჩვენი ერთი ბეწო ქვეყანაა გასაჭირში, მთელი მსოფლიო გლობალური კატასტროფების წინაშეა. საშველი არაა. უნდა ისევლე ჩვენ თითო კაცმა მოვინდომოთ და ჩვენი საკეთებელი გავაკეთოთ თორემ, აგი ბუმერანგია რაცხაა, მიდის გორავს და მერე ისევლე უკან ჩვენ მოგვიბრუნდება. რაფრაც მთიდან მოწყვეტილ ზვავს და მეწყერს ვერ შეაჩერებ ისეა აგი საქმეც. მაქამდე არ უნდა მივიდეს საქმე თვარა კატასტრობა რომ დეიწყება მერე კარქად მეყოლეთ ყველა.

აგი მეცოდება, ჩემი ბაღანე, ერთი კინკილა მაბადია ქვეყნად და მისი მომავალია რომ მადარდებს.

ამას წინათ ჭალაში ვიყავი, საქონელს ვაბალახებდი. ისეთი წვიმა და თქეში წამევიდა თავი ვერსად შევაფარე. ვიდექი ხის ქვეშ და გავყურებდი ცას. რამდენი გადამიტანია ცხოვრებაში არ მოვმკდარვარ და ასე წვიმაში, მოდენილ ნიაღვარს ჩავეხერგე რაფერი ამბავი გამევიდოდა?! მოვხვიე ჩემს საქონლებს ბაწარში ხელი და გამოვუყევი გზას. სოველი ვიყავი თლათ. ცას ისეთი პირი უჩანდა შეიძლებოდა ღვარცოფი მოვარდნილიყო და მთელი ჭალა ჩამოეშალა. საშიში იყო იქინე გაჩერება. მოვდიოდი ძლივს-ძლივობით ტალახში ვეფლობოდი, ჩამობნელდა ერთიანად. ვერ იყო კარგი ამბავი. ვერც საქონლები გავიმეტე დასატოვად და ასე ვაი ვაგლახით მოვაღწიეთ ეზომდე. მივუშვი ძროხები იპოვიდნენ თავიანთ ალაგს.

3 აგვისტო იყო შუადღე, შავად მოქუფრულიყო ცა, ელავდა და ჭექა-ქუხილობდა, დიდხნობამდის იწვიმა. მე კი შევაფარე თავი სახლს და ვიჯექი მაგიდასთან, სადილს შევექცეოდი. ვერ მამშვიდებდა ჩემი ყოფა, ფორიაქი მქონდა რაცხა და გული გლახას მიგრძნობდა. ხან ჩემ ქალს გავხედავდი, ხან ბაღანეს ჩავიკრავდი გულში.

რა გინდა რომ ქნა, იმფერი ამინდია თავშესაფარს თუ იპოვი რასმეს და გადაიტან, თვარა სხვა რა იქნება ვერ შეაჩერებ ამგვარ სტიქიას.

მახსოვს ბაბუაჩემი სულ იძახდა, ბუნების წინააღმდეგ არ უნდა წავიდეს კაციო. ბუნება ისეთი რამეა თუ არ გოუფრთხილდი დაგაქცევს იმფერ ამდავს დაგმართებსო.

ბაბუაჩემი ბრძენი კაცი იყო, მაშვინ კი მეგონა მშიშარაა და მიტომ იძახის ასეთქვა მაგრამ ახლა რომ გევიზარდე, მივხვდი რაის გაფრთხილებასაც გულისხმობდა. ხეები უყვარდა ძალიან. ხილის კურკებს აგროვებდა, ახმობდა და სულ გზადაგზა ყრიდა. სადაც მიდიოდა ყველგან თავის კვალს ტოვებდა. ყველა არ გაიზრდებოდა, მაგრამ რამაც გაიხარა მადლს გამოიღებდა.

ბევრი მიფიქრია და მიძებნია საშველი, რაფერ მოუარო დედამიწას რომ არ გადავშენდეთ ადამიანებითქვა?! არ მაქვს ჯერე პასუხი გარდა ერთისა, რაც უფრო დავზოგავთ წიაღისეულს, განახლებულ ენერგიას გამოვიყენებთ, დაბირძურებას თავიდან ავირიდებთ და ნარჩენებს გადავამუშავებთ, თუ არ გვეშველება სიცოცხლეს მაინც გავიხანგრძლივებთ.

არა ბიძია, რაც უფრო მეტი ვიფიქრე და ვისწავლე, მით მეტი სადარდებელი გამიჩინა ცხოვრებამ. რაი მინდოდა ვერ ვიყავი ჩემთვის მშვიდად? ბაბუეს დანატოვი ერთი წითელი ტრაქტორი მყავდა და ვცხოვრობდი. ახლა გონია მეც ბაბუაჩემივით „მშიშარა“ შევიქმენი.

არ ვიცი ხოლმე მე ტყვილად გულის ფორიაქი. ტელევიზორში თქვეს შოვში მეწყერი ჩამოწვაო. პირველადი მონაცემებით მსხვერპლი არ არისო. მთელი საღამო ინფორმაციას ვეძებდი, დაღუპულებს არევინ აცხადებდა. ამიტომ წავედი და მშვიდად დავიძინე. გათენდა დილა და ვაი იმ გათენებას. დიდი ტრაგედია დატრიალებულა შოვში. მთიდან წამოსულ მეწყერს სრულად წაუღია მთელი ხეობა და კოტეჯები. ხალხი ტალახის უზარმაზარ მასაში ცოცხლად დამარხულა. ეძებდნენ. ჯერე ისიც არ იცოდნენ რამდენს ეძებდნენ.

ცოტა ვიფათურე შინ, გული ვერაფერს დავუდე. ბოლოს ჩემ ქალს ვუთხარი შოვში მივდივარ დასახმარებლად თქვა. არაფერი უთქვამს, რავა დამიშლიდა.

მეგობარი მყავს ერთი, რაჭველი კაცია, ცხენები ყავს და ტურისტებზე აქირავებს. დავურეკე მოვდივარ და ცხენი მინდათქვა. ტყეში დაკარგული ხალხის ძებნას ვაპირებთქვა. თავადაც ემზადებოდა, კიდო ორი მეზობლის ბიჭი შემოიკრიბა და ჩავედით თუ არა მოვახტით ცხენებს. ტყე-ტყე გავუყევით შოვისკენ გზას. გავიშალეთ ძახილით შევერიეთ ბუნებას. მთელი დღე ასე ვიარეთ, გადავჩხრიკეთ ტყეები იმის იმედად რომ ვინმე გზააბნეულს ვიპოვიდით. მაგრამ არევინ შეგვხვედრია. თვითმფრინავი მოსული იყო, ხალხის გადაყვანა მიმდინარეობდა, მაშველებიც ადგილზე იყვნენ, მოხალისეებიც. შებინდებულზე დავბრუნდით უკან, საგანგებოდ მოწყობილი თავშესაფრები იყო, წყალს და საჭმელს არიგებდნენ.

დიდი უბედურება ტრიალებდა. დაკარგულ ოჯახის წევრებს ეძებდა ხალხი, შვილებს, ბოვშებს, მშობლებს, მეგობრებს. საშინელება ხდებოდა. ჟურნალისტები გაფაციცებულები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ტელეფონები განუწყვეტლივ რეკავდა.

გაგიჟდებოდი კაცი.

ალბათ ეს კოშმარი არასდროს დამავიწყდება. გავერიდე, ისევ ტყეს შევაფარე თავი, გათენებას დაველოდე. ირიჟრაჟა და ისევ საძებნელად წავედით.

რა გინდა რო ხნა, ბუნება ისეთი რამაა ვერ შეეწინააღმდეგები. ვერ გათვლი როდის რა მოხდება, უცებ შეიძლება დაგატყდეს თავს ასეთი უბედურება. ტალახის უზარმაზარ ტალღას გოდოუვლია შოვის თავზე და წოულეკავს გზად თუ რამე დახვედრია, ჩოუტანია ადამიანები

და დოუმარხავს მის წიაღში. წარმოუდგენელი ამბავი ტრიალებდა იქინე. საშინელება. უიმედობა. რას გინდა ასეთი კატასტროფა რომ დააბრალო, გლობალურ დათბობას?

ძლიერ წვიმას?

მიწის ძვრას?

იქნებ იმას ხეობაში რომ კურორტის აშენება არ შეიძლებოდა?

ბუნებასთან ბრძოლაში ყოველთვის ბუნება იმარჯვებს ასეა ეგი და აწი რაღა აზრი ჰქონდა ვინმეს ბრალის მოძებნას. სიცოცხლეს ვერავის დოუბრუნებდნენ.

დავმუნჯდი კაცი. ტყვილა ვიხეტიალე მთელი დღე, ცოცხალს ვერავის გადავაწყდი, ვერც გზააბნეული ვნახე მინმე. მაგრამ არ იყო ეგი ტყვილა სიარული მაინც. არ წამოსვლა უფრო გლახად გამხდიდა, ამდენ გაჭირვებულს რომ შორიდან დავუწყებდი ყურებას, მაშვინ უფრო უსუსური და საცოდავი ვიქნებოდი.

სევდის გაზიარება ვიცით ქართველებმა, ძალიან რომ გაგვიჭირდება მაშვინ ვიცით გვერდში დგომა. არადა კაი საქმესაც მხარდამხარ კეთება უნდა და ასე გადავრჩებით მხოლოდ.

ვითომ კაცი მარტო ხარ ამ ქვეყანაზე, მარტო მოდიხარ და მარტო მიხვალ აქედან, მაგრამ არაა მაგი მასე. რომ დეიბადე მაშვინაც არ იყავი მარტო, რომ მოკვტები კიდე დამტირებელი და დამმარხველი გჭირდება ვინმე.

ქვეყანა ყველასია. მარტვა ქვეყანა კი არა პლანეტაა ყველასი. თუ არ გავუფრთხილდით და მოვუარეთ ასთე ნაწილ-ნაწილ დაგვემხობა თავზე და თან ჩაგვიყოლებს. სულ ცოტა რომ გავაკეთოთ ყველაზე მარტივი, რაც შეგვიძლია ისაა რომე ხელი არ ვახლოთ და არაფერი გავაფიჭოთ. მდინარეს კალაპოტი არ შევუცვალოთ. ტყეები არ გავჩეხოთ. არ დავანაგვიანოთ და ავირიდოთ ხანძრები.

ბუნებასთან ბრძოლაში რომელ კაცს გოუმარჯვია?!

არადა აგი ალაგია ჩვენი ბინა და რაი გინდა რომ ქვა სხვა, ან სად წახვიდე?!